ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 231

ქ. ლაგოდეხი 30.12.2016 წ

მუხლი 1. მხარეები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის პირველი მოადგილის გიორგი ბოკერიას სახით, შემდგომში „შემსყიდველი" ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ლაგოდეხის პროფდერატიზაცია" დირექტორის ჟულიატა ბარამიძის სახით შემდგომში „შემსრულებელი", ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისთვის სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება/CPV90900000/.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ლარებში და ერთ თვეში შეადგენს 165 (ას სამოცდახუთი) ლარს.
2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1980 (ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით თვეში ორჯერ მუხლი 2-ში მითითებულ ობიექტებზე უზრუნველყოს სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა

1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
3. შესაბამისი მომსახურეობა დასტურდება წარმოდგენილი გაწეული მომსახურების აქტის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 6. მხარეთა მოვალეობები

1. „დამკვეთს" უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ შემსრულებელი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

2. „დამკვეთი" ვალდებულია:

ა) ანგარიშსწორება აწარმოოს შემსრულებელთან მის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების მიხედვით;

ბ) მიღებისთანავე შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი და შეადგინოს შესაბამისი დოკუმენტი შესრულებული სამუშაოს მიღებაზე.

3. „შემსრულებელს" უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს „დამკვეთს" მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ დამკვეთი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4. „შემსრულებელი" ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ბ) მიწოდებული საქონლის ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებს „დამკვეთის" მოთხოვნებს.

მუხლი 7. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;

2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში, რის შესახებაც წერილობით უნდა ეცნობოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, მათ შორის მიწისძვრით, წყალდიდობით, ხანძრით, ეპიდემიით და სხვა;

2. დაუძლეველ ძალად ითვლება საგანგებო გარემოება, რომელიც შეიქმნა მხარეთა ნების გარეშე და რომლის მოქმედებასაც მათ არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შექმნილ სიტუაციაში მათ მიიღეს და გაატარეს ყველა ღონისძიება, რისი გათვალისწინებაც კი შესაძლებელი იყო.

მუხლი 9. დავათა განხილვა

1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ურთიერთშეთანხმების გზით მოაგვარონ ყოველგვარი სადაო საკითხი წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

2. თუ დავის გადაჭრა არ მოხერხდა ურთიერთშეთანხმების გზით დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრამდე.

მუხლი 11. ხელშეკრულების სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

2. ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	შემსრულებელი:
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი საიდენტიფიკაციო კოდი: 233144987 ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. №23 მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 200122900 გიორგი ბოკერია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე	შ.პ.ს. „ლაგოდეხის პროფდერატიზაცია“ მის: ქ.ლაგოდეხი, კუდიგორის ქ.№30 საიდ.კოდი: 233113573 ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი: LBRTGE22, (MFO 220101442) ა/ა GE35LB0113113001274000 ჟულიატა ბარამიძე დირექტორი: